

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

03.04.2014 წელი

2 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება -
საარქივო სამმართველო

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 1/105

2012 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
უპირობო მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	4
დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ.....	5
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	5
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	5
სახელმწიფო შესყიდვები	5
მივლინება.....	6
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	7
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა.....	7
შრომის ანაზღაურება.....	7
ბიუჯეტის შედგენა - შესრულება	8
სხვაობა 2012 წლის საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის	8
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	9
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	10



დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - საარქივო სამმართველოს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს სამმართველოს ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.



აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უპირობო მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებების - საარქივო სამმართველოს ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სამმართველოს საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.



დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა საარქივო სამმართველოს საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

სახელმწიფო შესყიდვები

ხელვაჩაურის არქივის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, საარქივო სამმართველომ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით ¹ საშუალებით, ხელშეკრულება ² გაუფორმა შპს „კაბადოკიას“. ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 140 219.77 ლარი, ხოლო სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 15 აგვისტომდე პერიოდი. ხელშეკრულების გაფორმებიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, ცვლილება³ შევიდა ხელშეკრულებაში, რომლითაც გარკვეული სამუშაოების დამატების გამო, სამშენებლო სამუშაოების საბოლოო დასრულების ვადების შეუცვლელად, დაკორექტირდა სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვა და

¹ SPA120011369

² ხელშეკრულება N32, 08/05/2012 წ.

³ შეთანხმება N1, 13/06/2012 წ.



ჯამური ღირებულება გაიზარდა 6 490 ლარით. სამუშაოების დასრულების ვადების ამოწურვამდე 5 დღით ადრე⁴, ხელშეკრულებაში ადრე გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, სამუშაოების დასრულების ვადა გაგრძელდა ერთი თვით და განისაზღვრა 2012 წლის 15 სექტემბრამდე პერიოდით. დაგეგმვის ეტაპზე ზემოაღნიშნული სამუშაოების გაუთვალისწინებლობა და შემდგომში აღნიშნული საფუძველით ვადის გაგრძელების დასაბუთება მაღალი რისკის შემცველია და შესაძლოა, მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დაკისრების⁵ თავიდან ასაცილებლად იყოს მიმართული. აღნიშნულ ხელშეკრულებაში, მიმწოდებლის წერილის⁶ საფუძველზე, 2012 წლის 11 სექტემბერს შევიდა მესამე ცვლილება, რომლითაც შეიცვალა გარკვეული სამუშაოების მოცულობები და 1 840.99 ლარით შემცირდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულება. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 2012 წლის 13 სექტემბერს, შესაბამისად 2012 წლის 11-13 სექტემბერის შუალედში მიმწოდებელმა უზრუნველყო 210 კვ. მ ქვიშა-ცემენტის ხსნარით შელესვისა და შემდგომში მისი შეღებვის სამუშაოები (შელესვა, გაშრობა, შეღებვა), რაც გონივრულ საფუძველს მოკლებულია. აუდიტის ობიექტის განმარტებით⁷, სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა დოკუმენტაციის ოფიციალურ გაფორმებამდე, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე⁸.

მივლინება

სამმართველოს უფროსის შესაბამისი ბრძანებების⁹ საფუძველზე, თანამშრომელზე¹⁰ ორ შემთხვევაში ქვეყნის შიგნით მივლინებისათვის სულ ანაზღაურებულია 848 ლარი, მათ შორის ღამისთევსთვის 630 ლარი, რომელზეც არ იყო წარმოდგენილი მივლინებული პირის მიერ თანხის ფაქტობრივად გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება. სამმართველოს მიერ 2014 წლის 01 აპრილს¹¹ დამატებით იქნა წარმოდგენილი სასტუმროების ჯგუფი შპს „სიმპათიას“ ცნობა, რომლის თანახმადაც აღნიშნული პირი შესაბამის პერიოდში განთავსებული იყო სასტუმროში და გადაიხადა სასტუმრო მომსახურების ღირებულება 630 ლარი, თუმცა არ არის წარმოდგენილი, „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 259-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული, ნაღდი ფულით ანგარიშსწორების დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტი.

⁴ შეთანხმება N2, 10/08/2012 წ.

⁵ ხელშეკრულების საბოლოო ფასის გათვალისწინებით, მაქსიმუმ 6301.8 ლარი

⁶ შპს „კაბადოვიას“ წერილი N32, 04/09/2012 წ.

⁷ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს წერილი N01-24/73, 01/04/2014 წ.

⁸ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი

⁹ ბრძანება N09, 23/01/2012 წ. (390 ლარი); ბრძანება N27, 12/03/2012 წ. (240 ლარი)

¹⁰ სანდრო ბერიძე

¹¹ წერილი N01-24/73, 01/04/2014 წ., აუდიტის ანგარიშის პროექტის წარდგენის შემდეგ



პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - საარქივო სამმართველოს საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.


მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

შრომის ანაზღაურება

სამმართველოს შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული მთლიანი ხარჯიდან (1 281 953 ლარი) 490 094 ლარი გაცემულია პრემიის სახით (თანამდებობრივი სარგოს 61.9%). პრემია არ არის გაცემული მხოლოდ იანვრისა და თებერვლის თვეებში. გარდა აღნიშნული თვეებისა, პრემიების გაცემა ხდება ყოველთვიურად, ძირითადად თვეში საშუალოდ თითოეულ თანამშრომელზე თანამდებობრივი სარგოს 50% ან 100%-ის ოდენობით. დეკემბრის თვეში პრემიასთან (თითოეულ თანამშრომელზე თანამდებობრივი სარგოს 50%-ის ოდენობით) ერთად სამმართველოს ყველა თანამშრომელზე გაცემულია „საშობაო-საახალწლო ხელფასზე დანამატი“ 119.25 ლარის ოდენობით (ჯამში 10 256 ლარი), რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს პრემიას. აღნიშნული წახალისება გაცემულია მათ შორის ორ თანამშრომელზე იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული პირები მოცემულ პერიოდში იმყოფებოდნენ შვებულებაში. საქართველოში მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად¹², შვებულება წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის შეჩერებას, რა დროსაც დასაქმებული დროებით არ ასრულებს გათვალისწინებულ სამუშაოებს. ასევე „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანების თანახმად, პრემია წარმოადგენს ფულად წახალისებას. გამომდინარე აქედან, აღნიშნულ შემთხვევაში დაუშვებელია შვებულების დროს მოხელის ფულადი წახალისება.

გაცემული პრემიის ოდენობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია დიაგრამის სახით:

¹² „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე, 89-ე მუხლები



ბიუჯეტის შედეგა - შესრულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით¹³ საარქივო სამმართველოს სრული დაფინანსება განისაზღვრა 1 740.8 ათასი ლარით. ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სამმართველოს დაფინანსების მოცულობა არ შეცვლილა.

ბიუჯეტის ასიგნებების მუხლობრივი გადანაწილება და შესრულება მოცემულია ცხრილის სახით:

დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	დაზუსტებული გეგმის შესრულების %
საარქივო სამმართველო	1 740 820	1 740 820	1 740 333	99.97
ხარჯები	1 509 500	1 509 367	1 509 284	99.99
შრომის ანაზღაურება	1 315 600	1 281 953	1 281 953	100
საქონელი და მომსახურება	193 900	193 767	193 684	99.96
სოციალური უზრუნველყოფა	0	33 647	33 647	100
არაფინანსური აქტივები	231 320	231 320	230 916	99.83
ვალდებულებები	0	133	133	100

სხვაობა 2012 წლის საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის

2012 წელს გაწეული საკასო და ფაქტობრივი ხარჯების სხვაობა მოცემულია ცხრილის სახით:

¹³ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ (ვებგვერდი, 111221008, 27/12/2011. სარეგისტრაციო კოდი 190040000.30.056.016008)



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

N	დასახელება	საკასო ხარჯი	ფაქტიური ხარჯი	გადახრა ფაქტიურ ხარჯსა და საკასო ხარჯს შორის
1	შრომის ანაზღაურება	1 281 953	1 281 953	0
2	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	6 180	6 180	0
3	მივლინება	6 800	6 800	0
4	ოფისის ხარჯები	88 187	101 856	13 668
5	წარმომადგენლობითი ხარჯები	997	997	0
6	სამედიცინო ხარჯები	300	300	0
7	ტრანსპორტის ხარჯები	12 499	9 866	--2 633
8	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	78 720	78 720	0
9	სოციალური უზრუნველყოფა	33 647	33 647	0
10	ძირითადი კაპიტალის მოხმარება		35 123	
	სულ:	1 509 284	1 555 442	

ოფისის ხარჯების მუხლში არსებული სხვაობა (13 668 ლარი) განაპირობა 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მარაგების ნაშთის არსებობამ 21 259 ლარის ოდენობით. წლის ბოლოს ნაშთმა შეადგინა 15 550 ლარი. დანარჩენი სხვაობა გამოწვეულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიდან უსასყიდლოდ მიღებული, 7 959 ლარის ღირებულების, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებით.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებში არსებული სხვაობა (-2 633 ლარი) შესყიდული საწვავის (ტალონების სახით) არასრულად ხარჯვით არის განპირობებული.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

ჰენრი სანიკიძე
/აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/

ნადიმ ბოლქვაძე
/უფროსი აუდიტორი/

გურამ დუმბაძე
/აუდიტორი/

2 აპრილი 2014 წელი

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები

კოდი	აქტივები	ანგ. #	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში			0
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1110		0
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1120		0
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1210		0
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1220		0
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1230		0
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის სავსო ხარჯებისათვის	1240		0
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1250		0
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1260		0
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1270		0
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1280		0
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1290		0
130	მოკლევადიანი სესხები	1310		0
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1320		0
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1330		0
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1340		0
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		0
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსური აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1352		0
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხ	1353		0
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდ	1354		0
210	გადახდილი დღგ	1355		0
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1356		0
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1357		0
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1358		0
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1359		0
260	მოთხოვნები ბარტერიით	1360		0
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1410		0
280	მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	1420		0
290	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1430		0
300	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1440		0
310	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1450		0
320	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1460		0
330	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1470		0
340	გრძელვადიანი სესხები	1480		0
350	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1510		0
360	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1520		0
		1530		0
II. არაფინანსური აქტივები				
370	სტრატეგიული მარაგები			0
380	სხვა მატერიალური მარაგები	1610		0
390	შენიშნა-ნაგებობები	1620		0
400	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2110	21,259	18,184
410	სხვა ძირითადი აქტივები	2120	398,114	822,205
420	დაუმთავრებელი მშენებლობა	2130	78,006	76,083
430	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2140	2,700	2,400
440	ფასეულობები	2200		0
450	არაწარმოებული აქტივები	2300		0
	ბალანსი	2400		0
			500,079	918,872

01/01/13 10:34:44

გვერდი 2 3-დან

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეყნეებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო 2012 წელი

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგ. #	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
I. ვალდებულებები				
460	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები			
470	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3100		0
480	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		0
490	ვალდებულებები ხარტერით	3220		0
500	გადასახდელი მოგების გადასახადი	3230		0
510	გადასახდელი დღგ	3241		0
520	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3242		0
530	სხვა გადასახდელები	3243		0
540	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3244		0
550	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3245		0
560	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3246	133	0
570	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		0
580	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3252		0
590	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3253		0
600	დამპირებების მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული	3254		0
610	დამპირებების მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული	3255		0
620	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3256		0
630	გადასახდელი სტატენდები	3257		0
640	სოციალური დახმარების ანაზღაურებები	3258		0
650	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3259		0
660	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3260		0
670	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3270		0
680	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3280		0
		3300		0
II. კაპიტალი				
690	წმინდა ღირებულება			
700	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5100	499,946	918,871
710	გაუნაწილებელი ზოგება	5210		0
720	დაუფარავი ზარალი	5220		0
	ბალანსი	5230		0
			500,079	918,872
III. საცნობარო მუხლები				
730	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარ	01	0	0
740	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02	0	0
750	გადახდის უუნარო დებიტორებზე ჩამოწერილი დავალიანება	03	0	0
760	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	0	0
770	პირობითი მოთხოვნები	05	0	0
780	პირობითი ვალდებულებები	06	0	0
790	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07	0	0
800	ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	08	0	0
810	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09	45,971	46,681
820	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	0	0
			75,552	117,242

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: ვიქტორ სე
 მთავარი მდივანი: სერგეი



აღნიშნული აქტის საფუძველზე შედგენილი აკლდება ბალანსის ვალდებულებებისა და კაპიტალის აღმს

გვერდი 3 3-დან

ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ბალანსის დანართი ფორმა N2

მედი ჯაბუაძე

ბალანსის დანართი ფორმა #2

ორგანიზაციის დასახელება აჭარის არ საარეგო სამმართველო
 პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2012 წლის IV კვარტალი

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯს და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	1,509,500	1,509,367	1,509,284	1,509,284	1,509,284	1,555,442	46,158
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	1,315,600	1,281,953	1,281,953	1,281,953	1,281,953	1,281,953	0
030	1.1.1 ხელფასები	211	0	0	1,281,953	1,281,953	1,281,953	1,281,953	0
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	0	0	1,281,953	1,281,953	1,281,953	1,281,953	0
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111	0	0	1,281,953	1,281,953	1,281,953	1,281,953	0
060	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112	0	0	791,859	791,859	791,859	791,859	0
070	1.1.1.1.3 პრემია	21113	0	0	0	0	0	0	0
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114	0	0	490,094	490,094	490,094	490,094	0
090	1.1.1.1.5 პონორარი	21115							
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116							
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							
120	1.1.2 სოციალური შენატანები	212							
150	1.2 საკენელი და მომსახურება	22	193,900	193,767	193,684	193,684	193,684	204,719	11,035

გვერდი 1 5-დან

01/01/13 10:31:10

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ბალანსის დანართი ფორმა N2

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული ზეგმა	დაზუსტებული ზეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
160	1.2.1.1.1 შტატგარეშე მომსახურება ანაზღაურება	221	0	0	6,180	6,180	6,180	6,180	0
170	1.2.1.2 მოვლინება	222	0	0	6,800	6,800	6,800	6,800	0
180	1.2.1.3 ოფისის ხარჯები	223	0	0	88,187	88,187	88,187	101,856	13,668
190	1.2.1.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224	0	0	997	997	997	997	0
200	1.2.1.5 კვების ხარჯები	225							
210	1.2.1.6 სამედიცინო ხარჯები	226							
220	1.2.1.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შექმნის და აპირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227	0	0	300	300	300	300	0
230	1.2.1.8 ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228	0	0	12,499	12,499	12,499	9,866	-2,633
240	1.2.1.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შექმნის ხარჯები	229							
250	1.2.1.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210							
260	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება *	23	0	0	78,720	78,720	78,720	78,720	0
270	1.4 პროცენტი	24							
280	1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე	241							
290	1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე	2411							
300	1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412							
310	1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე	2413							
							0	35,123	35,123

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ბალანსის დანართი ფორმა N2

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული ვაგმა	დაზუსტებული ვაგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე	2414							
330	1.4.2 საშინაო ერთეულებზე გარდა სახელმწიფო ერთეულების	242							
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე	243							
350	1.5 სუბსიდიები	25							
360	1.6 გრანტები	26							
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე	261							
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611							
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612							
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებზე	262							
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621							
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622							
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე	263							
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631							
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632							
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27							
470	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271							
			0	33,647	33,647	33,647	33,647	33,647	0

გვერდი 3 5-დან

01/01/13 10:31:10

ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ბალანსის დანართი ფორმა N2

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დარეგისტრირებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (სავსო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711							
490	1.7.1.2 სასაქონლო ფორმით	2712							
500	1.7.2 სოციალური დახმარება	272							
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721							
520	1.7.2.2 სასაქონლო ფორმით	2722							
530	1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273	0	0	33,647	33,647	33,647	33,647	0
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731	0	0	33,647	33,647	33,647	33,647	0
550	1.7.3.2 სასაქონლო ფორმით	2732							
560	1.8 სხვა ხარჯები	28							
570	1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გა	281							
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282							
630	1.8.2.1 სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	2821							
640	1.8.2.2 სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები	2822							

01/01/13 10:31:10

გვერდი 4 5-დან

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ბალანსის დანართი ფორმა N2


სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტ. ხარჯსა და გადახდის შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	მონადეგები შტაბით და შტაბარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ								
	მარვენეკელთა დასახელება								
	1. შტაბით მომუშავეთა რიცხოვნობა		სახელმწიფო ბიუჯეტით		არასამიუჯეტო				
	1. შტაბარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა		წლიური გეგმით	ფაქტურად *	წლიური გეგმით	ფაქტურად *			
			85	85					
			2	2					

* დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა განგარანდება საქართველოს კვირიადის განმავლობაში თვეების მიხედვით დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობით (საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ცალკეული თვის მიხედვით განგარანებული დასაქმების რაოდენობის გზით უნდა გამოყოს საანგარიშო პერიოდის თვეების რაოდენობაზე).

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: *[Handwritten Signature]*

მთავარი ბუღალტერი: *[Handwritten Signature]*

ბ. ა



01/01/13 10:31:10

გვერდი 5-დან

ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

ბალანსის დანართი ფორმა N2-1

მ. შ. შაბუაძე
 ორგანიზაციის დასახელება: ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ
 პერიოდულიობა: წლიური, კვარტალური

ბალანსის დანართი ფორმა #2-1

კოდი 245429610

2012 წლის IV კვარტალი

სტრ. კოდი	კოდი	დაბეჭდილი ვაგება	დაზუსტებული ვაგება	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო სარეზი)	
1	2	3	4	5	6	7	
		არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი					
010	1.						
	1.1.		231,320				
020	1.1.1.		231,320	231,320	230,916	230,916	
030	1.1.1.1.		0	0	230,916	230,916	
040	1.1.1.1.1.		0	0	213,895	213,895	
050	1.1.1.2.						
060	1.1.1.3.		0	0	213,895	213,895	
070	1.1.1.4.						
080	1.1.1.5.						
090	1.1.1.6.						
100	1.1.1.7.						
110	1.1.1.8.						
120	1.1.1.9.						
130	1.1.1.10.						
140	1.1.1.11.						
150	1.1.2.		0	0	17,021	17,021	
160	1.1.2.1.						
		31121					

გვერდი 1 3-დან

01/01/13 10:37:41

ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

ბალანსის დანართი ფორმა N2-1

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული ბეჭედი	დაზუსტებული ბეჭედი	ვალდებულება	შეიხვეწა	გაიასდა (სავსე ხარვეზი)
1	2	3	4	5	6	7	8
170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122	0	0	17,021	17,021	17,021
180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	31113					
190	1.1.3.1 კულტურული აქტივები	31131					
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132					
210	1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321					
220	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322					
230	1.2 მატერიალური მარაგები	312					
240	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121					
250	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122					
260	1.2.2.1 ნედლეული და მასალები	31221					
270	1.2.2.2 დაუმთავრებელი წარმოება	31222					
280	1.2.2.3 მზა პროდუქცია	31223					
290	1.2.2.4 შედეგში რეალიზაციისთვის შებენილი საქონელი	31224					
300	1.3 ფასეულობები	313					
310	1.4 არაწარმოებული აქტივები	314					
320	1.4.1 მიწა	3141					
330	1.4.2 წაიღისეული	3142					
340	1.4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	3143					
350	1.4.3.1 რადიოსიხარული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	31431					
360	1.4.3.2 სხვა დანაწილი ბუნებრივი აქტივები	31432					

ვერდი 2 3-დან

01/01/13 10:37:41

ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივებით სავსო ოპერაციების შესახებ

ბალანსის დანართი ფორმა N2-1

სტრ. კოდი	აწარმოებული აქტივების ჩამონათვალი	კოდი	დამკვიდრული ზეგმა	დაზუსტებული ზეგმა	ვალდებულება	შითხოვნა	გადახდა (საკვამ ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
370	1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	3144					

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: გ. მ. მ. მ. მ.
 მთავარი ბუღალტერი: გ. მ. მ. მ. მ.
 ბ. ა.



01/01/13 10:37:41

გვერდი 3 3-დან

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ბალანსის დანართი ფორმა N3

ბალანსის დანართი ფორმა #3

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2012 წლის IV კვარტალი

კოდი 245429610

ანგ. #	დებეტი	თანხა	ანგ. #	კრედიტი	თანხა
7100	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	0		ნაშთი წლის დასაწყისისთვის	499,946
7200	მომუშავეთა ანაზღაურება	1,281,953	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	1,740,333
7300	საკონსულტაციო და მომსახურება	204,719	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება კენს. და დახმ -ის გასაყვამად	0
7310	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	35,123	6000	შემოსავლები	0
7400	პროცენტი	35,123	6300	მ.შ. გრანტები	0
7500	სუბსიდიები	0			0
7600	გრანტები	0			
7700	სოციალური უზრუნველყოფა	0			
7800	სხვა ხარჯები	33,647			
1300 - 1400	აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	0			
3000	ფინანსური აქტივები	0	1300 - 1400	აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	
1600 - 2000	ფინანსური ვალდებულებები	0	3000	ფინანსური აქტივები	0
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	0	1600 - 2000	ფინანსური ვალდებულებები	0
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	0	8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	234,034
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	0			0
	სადებეტო ბრუნვა	0			
	სულ ჯამი**	1,555,442		საკრედიტო ბრუნვა	1,974,367
	ნაშთი პერიოდის ბოლოს	1,555,442		სულ ჯამი***	2,474,313
		0		ნაშთი პერიოდის ბოლოს	918,871

* აღნიშნულ სტრიქონზე აღიარებულია სხელწიფის სახელით გაწეული მომსახურებებით მიღებული შემოსავლებიდან და სხვა ბიუჯეტის კუთვნილი თანხები

** სადებეტო ნაშთის წლის დასაწყისისთვის ემატება სადებეტო ბრუნვა

*** საკრედიტო ნაშთის წლის დასაწყისისთვის ემატება საკრედიტო ბრუნვა

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: *[Handwritten Signature]*



ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება - გასვლის შესახებ

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყ.	მიღება						გასვლა											
			შესყიდვით	ბარ-ტერიით	იმვე დონის საბერთით	გრანტებით	სხვა შემოსავლებით	სხვა სხვადასხვა სახის საკუთარი სახსრები	დაწესების აღდგენით	გაყიდვით	ბარ-ტერიით	იმვე დონის საბერთით	გრანტებით	სუბსიდიებით	სუბსიდიებით	სხვა ხარჯებით	სხვა სხვადასხვა სახის შემოსავლებით	საკუთარი სახის კაპიტალიზაციის შექმნა	ძირითადი კაპიტალიზაციის მოხმარება	საქონლის დაზიანება
300	4. ფასეულობები																			
310	4.1 ფინანსური კვების და ლიზინგი																			
320	4.2 ხელშეწყობის ხარჯები																			
330	4.3 სხვა ფასეულობები																			
340	5. არაფინანსური აქტივები																			
350	5.1 მიწა																			
360	5.2 წიაღისეული																			
370	5.3 სხვა ბუნებრივი აქტივები																			
380	5.4 არაფინანსური აქტივები																			

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: *[Handwritten Signature]*
 მთავარი ბუღალტერი: *[Handwritten Signature]*

ბ. ა



სარეკომენდაციო წერილი

აუდიტის ობიექტი:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელი:
გურამ სალაძე

1.

გამოვლენილი გარემოება

ხელვაჩაურის არქივის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებაში, ადრე გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, სამუშაოების დასრულების ვადა გაგრძელდა ერთი თვით. დაგეგმვის ეტაპზე ზემოაღნიშნული სამუშაოების გაუთვალისწინებლობა და შემდგომში აღნიშნული საფუძველით ვადის გაგრძელების დასაბუთება მაღალი რისკის შემცველია და შესაძლოა, მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დაკისრების თავიდან ასაცილებლად იყოს მიმართული.

რეკომენდაცია

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების მიწოდების ვადების შეცვლა განხორციელდეს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, სათანადო დასაბუთებითა და არგუმენტაციით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

2.

გამოვლენილი გარემოება

ქვეყნის შიგნით მივლინებულ პირზე, ორ შემთხვევაში, ღამისთევისთვის თანხა ანაზღაურებულია ფაქტობრივად გადახდის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე.

რეკომენდაცია

✓ მივლინებულთათვის საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების ანაზღაურება განხორციელდეს მხოლოდ მოქმედი კანონდებლობით გათვალისწინებული სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

✓ სამმართველოს ხელმძღვანელობამ შპს „სიმპათია“ -საგან გამოითხოვოს მოქმედი კანონდებლობით დადგენილი, ნაღდი ფულით ანგარიშსწორების დამადასტურებელი, სათანადო დოკუმენტი, ხოლო წარმოდგენლობის შემთხვევაში, შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

3.

გამოვლენილი გარემოება

სამმართველოს ორ თანამშრომელზე პრემია („საშობაო-საახალწლო ხელფასზე დანამატი“) გაცემულია იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული პირები მოცემულ პერიოდში იმყოფებოდნენ შვებულებაში.

რეკომენდაცია

პრემიის/დანამატის გაცემა განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი

ჰენრი სანიკიძე

/აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/

ნადიმ ბოლქვაძე

/უფროსი აუდიტორი/

გურამ დუმბაძე

/აუდიტორი/

2 აპრილი 2014 წელი